

რუსეთის საინფორმაციო ომის გავლენა სახელმწიფოთა ეროვნული
უსაფრთხოების პოლიტიკაზე
(უკრაინის მაგალითი)

მარიამ მეგრელიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გია ნოდია, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



თბილისი, 2016

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

მარიამ მეგრელიშვილი

27.06.2016

აბსტრაქტი

დღესდღეობით, ინფორმაცია სტრატეგიული მნიშვნელობის რესურსს წარმოადგენს, მაგრამ იგი თავისთავად არაფერია, თუ მას გავრცელების შესაბამისი მექანიზმები არ გააჩნია. XXI საუკუნეში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებამ ხელი შეუწყო ინფორმაციის გავრცელებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ზოგიერთმა სახელმწიფომ კი პრიორიტეტულ მიმართულებად საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ათვისება აირჩია და მათი ბოროტად გამოყენება დაიწყო.

ნაშრომის მიზანია რეფლექსური კონტროლის თეორიის ჭრილში გაანალიზოს რუსეთის საინფორმაციო ომის გავლენა სახელმწიფოთა ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკაზე. კონკრეტულად კი განიხილოს უკრაინის მაგალითი. ნაშრომის ამოცანაა გამოკვეთოს რუსეთის საინფორმაციო ომის მექანიზმები, მეთოდები, პრო-რუსული ნარატივები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს უკრაინის ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის შეცვლაში, ასევე შეაფასოს რუსეთის საინფორმაციო ომის შედეგები.

სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს თვისებრივ კვლევას, რომელიც ინტერნეტ გამოცემებზე, სტატიებზე, დასკვნებზე, რეკომენდაციებზე, ანალიტიკურ ცენტრების ანგარიშებზე დაყრდნობით აჩვენებს სხვადასხვა ანალიტიკოსთა თუ მეცნიერთა შეფასებებს. კვლევაში გამოყენებული კონტენტ-ანალიზის მეთოდი კი საშუალებას მოგვცემს რუსეთის საინფორმაციო ომის ეფექტიანობა დავდასტუროთ.

ძირითადი ცნებები: საინფორმაციო ომი, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა.

Abstract

Nowadays, information is a resource of strategic importance, however it's nothing, if it doesn't have corresponding mechanisms of distribution. In the 21st century, development of information-communication technologies promoted the distribution of information all over the world. Certain states set developing information-communication technologies as a priority and started to abuse it.

The research paper aims to analyse the impact of Russia's Information Warfare on the states' National Security Policy through the Theory of Russian Reflexive Control, based on the example of Ukraine. The research aims to highlight main mechanisms, methods and Pro-Russian Narratives, which have played a key role in deteriorating Ukraine's National Security Policy and assess results of the Information Warfare.

The Thesis represents qualitative research, which is based on electronic publications, articles, conclusions, recommendations, reports of analytical centers and demonstrates evaluations of various analysts and scientists. The content-analysis method, which is used throughout the research, will allow to show the effectiveness of Russia's Information Warfare.

Basic key words: Information Warfare, National Security Policy.